საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
თვითმმართველობა და განვითარება
www.intellect.org.ge
№17 / 2012

რატომ არის სოფლის მეურნეობა არარენტაბელური

გურამ ბერიძე

„სოფლის მეურნეობა კატასტროფულ მდგომარეობაშია...“, „ხელისუფლებას არ აინტერესებს აგრარული სფერო...“, „სოფელი ბედის ანაბარაა მიტოვებული...“, „სოფელს შველა სჭირდება...“ და კიდევ მრავალი მსგავსი რეპლიკის მოსმენაა შესაძლებელი ნებისმიერი სოფლის „ბირჟაზე“, სადაც მავანნი ქვეყნის ავ-კარგის განსასჯელად იკრიბებიან ხოლმე.

ძნელია მათ პესიმიზმს არ შეურეთდე, მაშინ, როდესაც რეალური სურათი უფრო მძიმეა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მართალია საქართველოში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად დარგად ითვლება, მაგრამ წლების განმავლობაში მისი უყურადღებოდ მიტოვების შედეგად მოხდა დარგის სრული დეგრადაცია, რის შედეგებსაც ფერმერები დღეს უკვე იმკიან.

განსხვავებული მდგომარეობა ამ კუთხით არც აჭარის რეგიონშია. სახელმწიფოს ერთიანი, მწყობრი სტრატეგია ამ კუთხით ჯერ კიდევ არ გაჩენია. მართალია, ბოლო წლებია დარგის განვითარებისათვის არაერთი ინვესტიცია განხორციელდა, სახელმწიფომაც დაიწყო გარკვეული ფინანსების მიმართვა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, თუმცა ეს ყველაფერი ჯერჯერობით მაინც ვერ იძლევა დამაიმედებელი პროგნოზის გაკეთების საშუალებას. ამის თქმის საშუალება იმ ადამიანების მოსაზრებები და გამოცდილება მაძლევს, რომლებიც წლებია ამ სფეროში საკუთარ ძალებს არ ზოგავენ და ცდილობენ დამოუკიდებლად განვითარებას.

იმისათვის, რომ ეკონომიკის ეს დარგი აღორძინდეს და მომგებიანი გახდეს, ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა და კომპლექსური ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა - ეს ის ძირითადი დარგებია, რომლებიც აჭარის მაღალმთიანეთშია გავრცელებული. აქ ძირითადად შერეული სახის მეურნეობები გვხვდება. თემების მოსახლეობის უმეტესი ნაწილიც სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

რა პირობებში უწევს გლეხს მოსავლის მოყვანა, რა პრობლემების წინაშე დგას, როგორ ახდენს მისი პროდუქციის რეალიზაციას, რამდენად რენტაბელურია სოფლის მეურნეობა – ამ და სხვა საკითხების გასარკვევად ჩვენ ფერმერებს სოფლებში ვეწვიეთ.

ხულოს მუნიციპალიტეტი აჭარაში ცნობილია მეკარტოფილეობით. აქ ყველაზე კარგად სოფლის მეურნეობის ეს დარგია განვითარებული და პროდუქციაც ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მარტივი გაანგარიშებით გლეხს კილოგრამი კარტოფილის მოყვანა დაახლოებით 23 დან 25 თეთრამდე უჯდება. კალკულაცია მოიცავს ყველა მანიპულაციას - მინის დამუშავებიდან დანყებული ბაზრამდე სარეალიზაციოდ მიტანით დასრულებული (მაგალითად, თუ გლეხი 2200კგ მ-ზე დარგავს 400 კგ თესლს, მას ამისთვის დასჭირდება მინის დამუშავება, ორგანული და არაორგანული სასუქის შეტანა, ორგზის გათოხნა (ადამიანური რესურსი), შხამ-ქიმიკატებით შეწამვლა, ამოლება, დაფასოება და ბაზრამდე ტრანსპორტიება), აღნიშნულ ფართობზე დაახლოებით 10 ტონამდე კარტოფილის მოყვნაა შესაძლებელი, კილოგრამის სარეალიზაციო ფასი კი საშუალოდ 50 თეთრია, რაც ეკონომიკური თვალთახედვით 100% - იან მოგებას ნიშნავს. მიუხედავად კარგი საბოლოო შედეგისა, გლეხი მაინც უკმაყოფილოა და თვლის, რომ დარგი არარენტაბელურია.

წლებია გურამ ბერიძეს მამა-პაპისეულ მიწის ნაკვეთზე ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბახმელაში კარტოფილი მოჰყავს. მცირემინიანობის გამო იგი ვერ ახერხებს დიდი რაოდენობით მოსავლის მოყვანას, მაგრამ ამბობს, რომ არსებული რაოდენობა სრულიად საკმარისია როგორც პირადი მოხმარებისათვის, ასევე სარეალიზაციოდაც. თუმცა მთელი წლის მანძილზე ოჯახის შესანახად მხოლოდ აქედან მიღებული შემოსავალი სულაც არ არის საკმარისი. კარტოფილის ჯიშებიდან აქცენტს ვარდისფერზე აკეთებს, რადგან ეს ჯიში გამოირჩევა მაღალი გემობრივი თვისებებით და ბაზარზე მასზე მოთხოვნა უფრო მაღალია. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა ჯიშებთან შედარებით მისი სარეალიზაციო ფასი 5-10 თეთრით მაღალია.

კარტოფილი ტრადიციული მეთოდებით მოჰყავს, თუმცა ცდილობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასაც. გურამ ბერიძე ნოვაციების დიდი მხარდამჭერია: „ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი სიახლის გადმოტანს, სასუქის სახით იქნება ეს, ახალი ჯიშების თუ მექანიზაციის კუთხით. სისტემატურად ინტერნეტით ვცდილობ მოვიძიო მასალები, გავიზიარო სხვა ქვეყნების გამოცდილება და გავაუმჯობესო ჩემი პროდუქციის მოსავლიანობა. გლეხი ხელით შრომას არ აფასებს, სწორედ ამიტომ გვგონია, რომ დარგი რენტაბელურია, თუ კარგად დავითვლით და გამოვიყენებთ მექანიზაციას მცირემინიანობის პირობებში მაინც არარენტაბელური იქნება. მექანიზაციის გამოყენება კარგია მხოლოდ დიდ ფართობებზე, რისი ფუფუნებაც ჩვენ არ გვაქვს. თანაც ჩვენს რეალობაში მეორე უკიდურესობას ვაწყდებით, აჭარის მაღალმთიანეთის რელიეფიდან გამომდინარე, მხოლოდ მცირე მექანიზაციას უნდა დავჯერდეთ.“

„მეკარტოფილეობა ჯერჯერობით ხულოს მუნიციპალიტეტისათვის ყველაზე კარგი დარგია, კარგი იქნება, თუ მოხდება კარტოფილის უდანაკარგოდ რეალიზაცია. მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი, რომ ბაზარი სრულიად მოამარაგოს და მთლიანად ჩაანაცვლოს იმპორტირებული, დაბალი ხარისხის და ეკოლოგიურად არაღირებული პროდუქცია. იმისათვის, რომ გლეხმა დაიწყოს მასობრივი ნარმოება და დარგი გახდეს მაქსიმალურად რენტაბელური, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, ინვესტორების მოზიდვა აუცილებელი. რადგან გაკეთდეს ერთი საწარმო, სადაც შესაძლებელი იქნება სპირტის და სახამებლის დამზადება, რომლითაც მომარაგდება ადგილობრივი ბაზარი და გლეხს გაუწნდება კიდევ ერთი დამატებითი შემოსავალი. აგრეთვე გადმოვიღოთ ყაზახეთის ან უკრაინის მაგალითი და ადგილზე დავინყოთ თესლის გამოყვანის ნარმოება, რაც სავსებით შესაძლებელია და კიდევ ერთი ხერხია მოსავლიანობის ასამაღლებლად“ – აღნიშნა გურამ ბერიძემ.

ქედის მკვიდრმა მურად ზაქარაძემ ხუთი წელია, რაც ფერმერობას მიჰყო ხელი. საკუთარ ეზოში მოაწყო ბაღი და მეუღლესთან ერთად უვლის. თავიდან პომიდორის მოყვანით დაიწყო თუმცა შემდეგ მეურნეობა გააფართოვა და გაამრავალფეროვნა კიდეც: „ერთი პროდუქციის მოყვანა მაღალი რისკის შემცველია, ამიტომ გადავწყვიტე იმ კულტურებიდან, რომლებიც ქედაში მოდიოდა, რამდენიმე ამომერჩია და ისე გამეგრძელებინა საქმიანობა. ამჟამად ვეწევი ბულგარული წნაკის, პომიდორის და თამბაქოს მოყვანას, ყველაზე რენტაბელური მაინც ბულგარული წნაკის მოყვანაა“.

მურად ზაქარაძე თავის მეურნეობაში აქტიურად იყენებს მცირე მექანიზაციას. ახლო მომავალში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის – „მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ – მონაწილე გახდება და თანადაფინანსებით შეიძენს მოტობლოკს, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ფიზიკურ შრომას გაუიოლებს. ერთადერთი პრობლემა, რაც საქმიანობის განხორციელებაში ხელს უშლის, სარწყავი სისტემის გაუმართობაა, რომლის აღმოფხვრასაც ახლო მომავალში აპირებს. ფიქრობს გაფართოებაზეც, თუმცა ამ ეტაპზე თანხები არ ჰყოფნის. დაგეგმილი აქვს, გაიკეთოს სათბური, სადაც შესაძლებელი იქნება ნელიწადის ნებისმიერ დროს ბოსტნეული კულტურების მოყვანა და ადგილობრივი ბაზრის მომარაგება. მართალია შემოსავალი აქვს, მაგრამ მაინც თვლის, რომ დღევანდელ პირობებში სოფლის მეურნეობაში დასაქმება არამომგებიანია, რადგან ბევრი რამ გასამართია ამ კუთხით: „ინფრასტრუქტურა მოშლილია, ჯიშები მოძველებულია, მიწები გამოფიტულია, თუ არ მოხდა ყოველივე ზემოხსენებულის გამოსწორება-სტაგნაცია, ცუდ შედეგებამდე მივალთ.“ სახსრების მოზიდვა კი აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ცალკე აღებული, მცირე ფერმერს არ შეუძლია, სწორედ ამიტომ სახელმწიფომ უნდა მიმართოს თავისი ყურადღება ამ კუთხით და დაეხმაროს სოფელს.

მევენახეობა – ერთ-ერთი უძველესი დარგი

მევენახეობა ქედის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ძირძველი და პერსპექტიული დარგია. ჩხავერი, ალადასტური, ცოლიკაური - ეს ის ჯიშებია, რომლითაც ცნობილია ქედა. განსაკუთრებით გამოირჩევა ცოლიკაური. ამ ჯიშმა ქედის კლიმატი და ნიადაგი ისე მოირგო, რომ მისგან მთელს საქართველოში საუკეთესო ღვინო

გაგრძელება მე-8 გვერდზე

„ინტელექტმა“ რაჭველ ფერმერებს უმასპინძლა

23-25 იანვარს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტს“ და რაჭველ ფერმერებს მასპინძლობდა. პროექტი „სოფლის განვითარება რაჭა-ლეჩხუმში“, რომელსაც „აფხაზინტერკონტი“ ახორციელებს და რომლის ფარგლებშიც შედგა აღნიშნული ვიზიტი, რაჭველი ფერმერებისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ფერმერთა გამოცდილების გაცნობას ისახავდა მიზნად.

„ინტელექტმა“ სპეციალურად რაჭველი ფერმერებისათვის დაგეგმა სამდღიანი აგროტური, რომელიც ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებზე გადიოდა. ტური ასევე მოიცავდა ქ. ბათუმში არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების მონახულებასაც. ტური გამდიდრებული იყო კულტურული პროგრამითაც.

რაჭველმა ფერმერებმა აგროტურის ფარგლებში აჭარაში რამდენიმე წარმატებული მეურნეობის გაცნობა მოასწრეს: ისინი ქედაში, სოფელ ოქტომბერში მეთევზეობის მეურნეობა „აკავრეთას“ ეწვივნენ, ხელვაჩაურში, სოფელ ახალშენში მეფრინველეობის ფერმას „დიადემას“, ბათუმში რძის გადამამუშავებელი მინისაწარმო „თეთრობი“ მოინახულეს, ხოლო ქობულეთში, სოფელ კვირიკეში – მეფუტკრეობის კერძო მეურნეობა.

როგორც პროექტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტის“ პრეზიმენმა, სერგო წურწუმიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რაჭველი ფერმერები ძალიან კმაყოფილები არიან: „ჩვენ აჭარაში რამდენიმე მეურნეობა მოვინახულეთ, რომლებიც ძალიან წარმატებულები არიან თავიანთი სფეროებში. პროექტის ფარგლებში საქართველოს ყველა რეგიონში გვქონდა მსგავსი ვიზიტები, სადაც მოვინახულეთ მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეკარტოფილეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობისა და კიდევ ბევრი სხვა ფერმერული მეურნეობა. ფერმერები კმაყოფილები არიან და ცდილობენ, საკუთარ ფერმებშიც გამოიყენონ ადგილებზე ნანახი წარმატებული ტექნოლოგიები და მეთოდები“.

სტუმრად მყოფმა ფერმერებმა მიღებული შთაბეჭდილებებით კმაყოფილება არ დამალეს. გამოცდილება, რომელიც აჭარელმა აგრომეწარმეებმა გაუზიარეს, მათთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. სხვათაშორის, სტუმრების უმრავლესობა აჭარას პირველად ეწვია და ტურის მომხიბვლელობა საქმიანი გამოცდილების გაცვლასთან ერთად, კულტურული პროგრამის ფარგლებში კიდევ უფრო გაიზარდა.

როგორც პროექტის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, პროექტი გაგრძელდება და ანალოგიური მიზნებით უახლოეს მომავალში კვლავ შედგება უფრო ფართომასშტაბიანი ვიზიტი.

რაზომ არის სოფლის მეურნეობა არარენტაბელური

დასაწყისი გვ-7 გვერდზე

მზადდება.

ოთარ ზაქარაძე ქედის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი გამორჩეული ფერმერი და მეღვინეა, ვაზსს დიდი რუდუნებით უვლის და „შვილივით ნაზარდს“ მართლაც არაფერს აკლებს. კარგად იცის როგორ მოუაროს, როგორ შეწამლოს რა დროს დაკრიფოს, რომ მისგან საუკეთესო ღვინო მიიღოს. მართალია, ვენახი დიდ ფართობზე არ აქვს გაშენებული და წელიწადში მხოლოდ 5-6 ტონა ღვინის დანურვას ახერხებს, მაგრამ შემოსავლებით კმაყოფილია და ამბობს, რომ ვენახს კარგი მოვლის პირობებში 200%-იან მოგების მოტანა შეუძლია.

ღვინოს რეალიზაციას ძირითადად ადგილზე ახდენს. „იმდენად ცნობილია ქედის ცოლიკაური, რომ ბაზარზე გატანაც არ მიხდება, ადგილზე მოდიან და ჩემგან მიაქვთ, ბაზარზე ცოლიკაური 2,5 - 3 ლარი ღირს, მეც სწორედ ამდენს მიხდიან“.

ოთარ ზაქარაძის ფერმერობა მხოლოდ მევენახეობით არ შემოიფარგლება, მას ცნობილი „ქედის პომიდორრიც“ მოჰყავს, აქვს ხეხილის ბაღიც, მაგრამ სამწუხაროდ ხილის რეალიზაციას საერთოდ ვერ ახერხებს – „ნებისმიერ ოჯახს ქედის მუნიციპალიტეტში მინიმუმ 2 ტონა ხილის მოსავალი აქვს, მაგრამ მინიმალურადაც ვერ ვახდენთ რეალიზაციას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენს ხილს არ აქვს სასაქონლო სახე და მომხმარებლის თვალისთვის არ არის მიმზიდველი. მაგრამ გამოირჩევა გემობრივი თვისებებით, თუ სახელმწიფო რამენაირად დაინტერესებს ინვესტორს და მოხდება წვენების ქარხნის ამუშავება, გლეხს ხელი შეეწყობა და

სოფელი დანდალო

ნელ-ნელა სოფელიც გაძლიერდება“.

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ

„სოფლის მეურნეობის განვითარებაში ყველაზე დიდი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. უნდა აღადგინოს და განავითაროს აგრონომის ინსტიტუტი. თემში აუცილებელია ერთი სწავლული აგრონომი, რომელიც ისწავლის და შემდეგ მოსახლეობას გაუზიარებს სიახლეებს, როგორ მოუაროს ამა თუ იმ კულტურას, რომელი სათესლე მასალაა უკეთესი და რომელი შხამ-ქიმიკატის გამოყენებაა სასარგებლო. რა სიახლეების გადმოღებაა შესაძლებელი სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან, როგორ გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნიკა და ა.შ. თუ ფეხი არ აუწყე ტექნიკურ პროგრესს, ასე ვერც სახელმწიფო განვითარდება და ვერც სოფლის მეურნეობა“ – გვითხრა გურამ ბერიძემ.

აგრონომის ინსტიტუტის თემას მურად ზაქარაძეც აგრძელებს: „მართალია, მე კარგად ვიცი ჩემი საქმე, მაგრამ გლეხების უმრავლესობა ვერ ახერხებს საკუთარი პროდუქციის რეალიზებას. სწორედ აქ სახელმწიფომ უნდა ითამაშოს დიდი როლი და ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას. კარგი იქნება აგრონომის ინსტიტუტის დანერგვა თემებში, რომელსაც შეეძლება თავად მოიპოვოს ახალი ინფორმაცია და გადასცეს გლეხს ახალი ჯიშების, თანამედროვე ტექნოლოგიების, შხამ-ქიმიკატების შესახებ“.

ოთარ ზაქარაძეც სოფლის მეურნეობის განვითარების გზას სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ნაბიჯების გადადგმაში ხედავს: „დღეს სოფლის მეურნეობას სჭირდება განვითარება, სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ნავიდეს იმ კუთხით, რომ ინვესტორებმა შეიტანონ წვლილი მის განვითარებაში. მცირე მეურნეობების მეპატრონეებს ფინანსური რესურსები არ აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გაფართოვდნენ. თუ სახელმწიფო არ დაეხმარა სოფელს, სამუშაო ადგილების არარსებობის გამო, სოფლები რეალურად დაცარიელების საფრთხის წინაშე დადგება. სწორედ ამიტომ უნდა იზრუნოს სახელმწიფომ გადამამუშავებელი სანარმოების შექმნაზე, სადაც დასაქმდება სოფლის მოსახლეობა და რაც ხელს შეუწყობს, როგორც დარგის განვითარებას, ისე სამუშაო ადგილების შექმნას.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის "აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 241650, ფაქსი: 241640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge